ოსტატთა პირველი მატჩები

18 მარტს, თბილისის “დინამოს” სტადიონზე გაიმართა მიმდინარე წლის პირველი მატჩი ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. საწვრთნელ–საკონტროლო თამაშში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის “ტორპედო” და თბილისის “დინამო”.

გუნდები მინდორზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: “ტორპედო” – დენისენკო, ტარასოვი, გომესი, გურვიცი, სუჩკოვი, საფრონოვი, ილინი, ივანოვი, ანისიმოვი, სტრელცოვი, არბუტოვი. “დინამო” – მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ურთმელიძე, ხასაია, კ. გაგნიძე, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

თამაში დაიწყო ნელი დაზვერვით მინდვრის ცენტრში. მოსკოველებმა რამდენჯერმე შორიდან “მოსინჯეს” დინამოელთა მეკარე, მაგრამ დარტყმები არ იყო სახიფათო. შემდეგ “დინამოს” თავდამსხმელებმა სცადეს სიგრძივი გადაცემებით გასვლა კართან. ურთმელიძემ და კალოევმა ასეთი მიწოდებით სამჯერ გაიყვანეს ღოღობერიძე მცველებს შუა, რომელთაც ძალების სრული მობილიზაცია დაჭირდათ კარის გადარჩენისათვის.

თბილისელებმა თანდათან მოუმატეს ტემპს. გაგნიძე სწრაფად გავიდა მარცხენა ფრთაზე და მაღალი ბურთი ჩააწოდა ცენტრში. კალოევმა გადაცემა გააგრძელა მარჯვნივ, სადაც ბურთი მიიღო ხასაიამ და უკანვე დაუბრუნა ცენტრში, საიდანაც კალოევმა იგი კარში გაიტანა – 1:0.

ხუთი წუთის შემდეგ დენისენკომ მეორე ბურთი გამოიტანა კარიდან – ხასაიამ ზუსტად დაკიდა ბურთი საჯარიმო მოედნის თავისუფალ კუთხეში, სადაც მოულოდნელად შევიდა კოტრიკაძე და შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი. 2:0.

მეორე ტაიმში თბილისელთა შემადგენლობაში მოხდა ცვლილებანი. ელოშვილის, ურთმელიძისა და მესხის ნაცვლად მინდორზე გამოვიდნენ დავარაშვილი, იამანიძე და ქვლივიძე. უკვე დასაწყისშივე გარღვევაზე გავიდა გაგნიძე, და გომესთან და საფრონოვთან ბრძოლაში დაბალ კუთხეში გაიტანა მესამე გოლი.

ამის შემდეგ, კარგა ხნით უპირატესობა ხელთ ჰქონდათ სტუმრებს და თბილისელებს ზოგჯერ ყრუ დაცვაშიც უხდებოდათ გადასვლა. მალე სტრელცოვმა შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

მხოლოდ მატჩის ბოლოს გამოასწორეს თამაში დინამოელებმა. კვლავ აქტიურად ამოქმედნენ ხასაია, ღოღობერიძე, კალოევი, კოტრიკაძე. გონგის შემდეგ “ტორპედოს” ნახევარზე გათამაშდა ასეთი კომბინაცია: ღოღობერიძე–გაგნიძე–ხასაია–ქვლივიძე–ხასაია. ეს რთული ჩანაფიქრი ზუსტი დარტყმით დაამთავრა ღოღობერიძემ და “ტორპედოს” კარში მეოთხე გოლი გავიდა.

ამრიგად, მატჩი მოიგო თბილისის “დინამომ” – 4:1.

გ. სტაჟაძე.
21 მარტი, 1956 წ.